ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #58
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი **4 მაისი 2016 წელი**

ერთის მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის მიხეილ ხაჩიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი ორგანიზაცია") და მეორეს მხრივ შპს „სითი ლოფტი" – დირექტორის ვალერი ჩეხერიას სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") წოდებული მხარეებად, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი
ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს გაეროს კოსმოსურ საქმეთა ოფისის (UNOOSA) კოსმოსური საინფორმაციო პლატფორმის - UN-SPIDER-ის ტექნიკურ მრჩეველთათვის სარესტორნო მომსახურების (CPV55300000) შესყიდვა სასტუმრო „Rooms"-ში.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 208.86 (ორას რვა ლარი და 86 თეთრი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ადგილი და ეტაპობრივი ვადები
3.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, კოსტავას #14.
3.2. მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 4 მაისი.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარება
4.1. ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც "მიმწოდებელი" "შემსყიდველს" წარუდგენს ინვოისს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.
4.2. შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების აღიარება (ცნობა) მოხდება მომსახურების გაწევის შემდეგ ორივე მხარისაგან ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტისა და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები:
5.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, "მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი ინვოისი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.3. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება 5.2. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
6.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" უფლებამოსილია:
6.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
6.1.2. აწარმოოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
6.2. "შემსყიდველი ორგანიზაცია" ვალდებულია:
6.2.1. მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;
6.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
6.3.1. მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.

6.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
6.4.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სრულყოფილად, კეთილსინდისიერად და უნაკლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით;

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა
7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხერშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა მეორე მხარეს აცნობოს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით;
8.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან;

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა
წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
9.1. მხარეთა შეთანხმება;
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;
9.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა
10.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
10.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
11.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2. მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,2 (ნოლი მთელი, ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით,
11.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

მუხლი 12. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების კონტროლი
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს: ადმინისტრაციული დეპარტამენტის მრჩეველი დავით გაგუა;

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 14. განსაკუთრებული პირობები
14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) გვერდზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს
14.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება "მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება "შემსყიდველ ორგანიზაციაში".

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი ს/კ 204584404 მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა #7 სახელმწიფო ხაზინა	შპს „სითი ლოფტი“ მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ#14 სს თიბისი ბანკი ბ/კ BAGAGE22 ა/ნ GE81 BG00 0000 0846 5459 00 ს/კ 404909934
ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	დირექტორი
/მიხეილ ხაჩიძე/	/ვალერი ჩეხერია/